



სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი

ბორის ყურუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბორის, ყურუა,

ხელმოწერა -----

(30/07/2019)

## აბსტრაქტი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ანუ მათდამი გამორჩეული მოპყრობა, არც ისე დიდი ხანია რაც დაინერგა ქართულ სამართლის სისტემაში. აქვე, ისიც უნდა ვთქვათ რომ ეს ინსტიტუტი, ზოგადად ახალია და განვითარებულ ქვეყნებშიც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური ასპექტი, კერძოდ კი, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, ზღვარი, რომელსაც თითოეული ქვეყანა საერთაშორისო რეკომენდაციებისა და თავისი სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებით აყალიბებს. თუმცა, ხშირია არაერთგვაროვანი მიდგომები, არსებობს ქვეყნები, სადაც არასრულწლოვანთა მიმართ არაჯეროვანი დამოკიდებულება აქვთ სამართალდამცავებს და ისეთი ქვეყნებიც, სადაც ბრალუნარიანობის მინიმალური ზღვარი არაადეკვატურია.

ნაშრომში განხილულია როგორც ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარება, ისე მისი ისტორიული საფუძვლები. საერთაშორისო სამართლის აქტებისა და რამოდენიმე ქვეყნის პრაქტიკის ანალიზი, შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს თუ როგორი მიდგომა აქვთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, კერძოდ კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის მიმართ ქართველ და უცხოელ კანონმდებლებს.

კვლევათა ანალიზი, უკვე დამუშავებულ ინფორმაციასთან ერთად, საშუალებას იძლევა გაეცეს პასუხი შეკითხვას -არის თუ არა ბრალუნარიანობის მინიმალური ზღვარი დანაშაულის მაპროვოცირებელი ფაქტორი და რამდენად გადაჭრის აღნიშნული მინიმალური ზღვრის კიდევ უფრო დაწევა პრობლემას.

საძიებო სიტყვები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, საერთაშორისო პრაქტიკა.

## Abstract

It is not a long time since junior justice or preferential treatment for the juniors under the law, was implemented in Georgian justice system, although we have to add here, that this institute is generally new and under the process of forming even in the developed countries.

This article will discuss one of the most sensitive aspect of junior justice system, in particular, minimum age in order to be responsible in front of criminal law. This age for every country is agreed upon international recommendations and each countries personal traditions in justice system, which leads to diverse approaches to the matter. We see countries, where policemen have a bad stance against juniors and see countries where the line of minimum age for criminal law lies below the adequate line.

Article discusses not only development of Georgian junior justice system but, its historic foundation. International law articles and analyses of practices of several countries will enable us to find out approaches Georgian and foreign lawmakers have with junior justice system, in particular minimum age of the juniors in order to fall under the criminal law.

Analyses of carried out quantitative research with already processed data lets us to give answer to the questions:

1. Is putting minimum age of responsibility too high, a provoking factor in juniors' criminal activities?
2. How much effective is lowering minimum age in solving this problem?

**Key words:** Junior justice system, Minimum age for criminal law, International practices.